

6

ქართული ლიტერატურა

მოსწავლის წიგნი
ნაწილი I

ნინო გორდეჯაძე
გვანცა ჩხენკელი
თინათინ კუხიანიძე



გაკურს სულაკაურის
გამომცემლობა

გრიფინიჭებულია საქართველოს
განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტროს მიერ 2018 წელს.



თავი 1.

ამეტყველებული ბუნება	7
თუთა ანა კალანდაძე	8
ქუჩი ვაჟა-ფშაველა	9
თეორია. მხატვრული ხერხები	14
ნეკერჩხლის წითელი ფოთოლი რევაზ ინანიშვილი	16

თავი 2.

და მე ვიგონებ.... ..	19
წამყე ბეთანიისაკენ გალაკტიონ ტაბიძე	20
ხაზარულა ნოდარ დუმბაძე	21
თეორია. მოთხრობა	33
ჩვენი ჭერამი გიორგი ლეონიძე	34
ალექსანდრე ყაზბეგი (მოკლე ბიოგრაფია)	38
წამწყემსარის მოგონებანი ალექსანდრე ყაზბეგი	39

თავი 3.

სიბრძნე სიცრუისა	43
სულხან-საბა ორბელიანი (ბიოგრაფია)	44
მთიელი და კაკლის ხე სულხან-საბა ორბელიანი	45
აქლემი და ვირი სულხან-საბა ორბელიანი	46
უსამართლო შირვანშაჰი სულხან-საბა ორბელიანი	47
თეორია. იგავ-არაკი	49



თავი 4.

ლეგენდებში შემონახული წარსული	50
სპარსი ისტორიკოსის ჩანანერი <i>ისტანდერ მუნში</i>	51
ბახტრიონის აღება <i>ხალხური</i>	53
ბახტრიონის აღება (ნანყვეტი პომეიდან „ბახტრიონი“) <i>ვაჟა-ფშაველა</i> ..	56
ბახტრიონის აღება (ნანყვეტი მოთხრობიდან „ბაში-აჩუკი“) <i>აკაკი წერეთელი</i>	57
ლეგენდა ბაზალეთის ტბის შესახებ	60
ბაზალეთის ტბა <i>ილია ჭავჭავაძე</i>	62
თეორია. ფაქტი, ვარაუდი, თვალსაზრისი	63
მოდლოდა ნინო მთებით <i>ანა კალანდაძე</i>	64



თავი 5.

სიცილი გადამდებიაო!	66
ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავალი <i>რუდოლფ ერის რასპე</i>	67
ობოლი და ქოსატყუილა (ზღაპარი) <i>ხალხური</i>	73
უნინდელი ცხენები რალა იქნენო <i>ხალხური</i>	76
თეორია. ანოტაცია	77
თეორია. რეკლამა	78



თავი 6.

ხალხური სიტყვიერება	79
ეთერი <i>ხალხური ზღაპარი</i>	80
ოპერა „აბესალომ და ეთერი“	90
თეორია. ზღაპარი	91
სახელმძღვანელოს ლექსიკონი	92



ალექსანდრე
ყაზბეგი



აკაკი ნერეთელი



გალაკტიონ ტაბიძე



გიორგი ლეონიძე



ანა კალანდაძე



რევაზ ინანიშვილი

თავი

1
-ჯი



ამეტყველებული ბუნება

უსულო საგნებს სული ჩავბერე,
ავასაუბრე ლოდები კლდისა...

ვაჟა-ფშაველა

ამ შეისნავლი...

- თუთა ა. კალანდაძე
 - ქუჩი ვაჟა-ფშაველა
 - ნეკერჩხლის წითელი ფოთოლი
 - რ. ინანიშვილი
- თეორია. მხატვრული ხერხები

თემის შესავალი

- შენი სიტყვებით გადმოეცი ვაჟა-ფშაველას სტრიქონების შინაარსი.
- შენი აზრით, რატომ ჰქვია ამ თავს „ამეტყველებული ბუნება“?
- როგორ ფიქრობ, რატომ აღწერენ მწერლები ბუნების სურათებს ნაწარმოებებში?

თუთა

ლამის სახლში შემოიჭრას თუთა,
 ლამის თავზე გადამისვას ხელი...
 დამიძახებს, თვალს ჩამიკრავს მუდამ
 ხე მაღალი, ხე ზურმუხტისფერი...
 რა ჩურჩული ესმის ჩემთა ყურთა!
 რა ჩურჩული!.. დამდაგველი, მწველი...
 ლამის სახლში შემოვიდეს თუთა,
 ლამის წელზე შემომხვიოს ხელი...

ანა კალანდაძე

იმსჯელები

1. რა ფერისაა, პოეტის თქმით, „ზურმუხტისფერი ხე“?
2. რომელი სიტყვით შეცვლიდი ჩვეულებრივ საუბარში ხის „ჩურჩულს“?
3. პოეტის როგორი განწყობის მიმანიშნებელია ფოთოლთა ერთმანეთთან ჩურჩულის ეპითეტები: „დამდაგველი“, „მწველი“?
 ა) აღშფოთების; ბ) აღფრთოვანების
4. დაფიქრდი, რომელი სტრიქონი შთააგონა პოეტს ხშირი, ფართო ფოთლებიდან შავად გამომჭვირვალმა ნაყოფმა.
5. ამ ლექსში რამდენიმე ფრაზა მეორდება. რას აღწევს ამ ფრაზების გამეორებით პოეტი? რას ანიჭებს ლექსს?
6. წლის რომელ დროს ნახავდა პოეტი ასე აყვავებულ, ტოტებგამონვდილ თუთის ხეს?

ენა

7. იპოვე ტექსტში ავტორისეული ყველა ეპითეტი.
8. ამოკრებილი სტრიქონები რას ადასტურებს, რომელ მხატვრულ ხერხს იყენებს პოეტი?
 „ლამის სახლში შემოიჭრას თუთა,
 ლამის თავზე გადამისვას ხელი...“
9. როგორ რითმას ქმნის პოეტი ამ ლექსში?
10. რომელ სტრიქონში გვხვდება ნარ-ბოლოსართიანი მრავლობითის ფორმა? რას ანიჭებს ლექსს ამით პოეტი?
11. გადაინერე ლექსი იმ განწყობით, თითქოს კალიგრაფიის ნიმუშს ქმნი ქართული ანბანის წარმოსაჩენად. თუ სურვილი გაქვს, გვერდი ნახატითაც გაალამაზე.

ქუჩი

(მოთხრობა)

I

ბალახი ვარ მთისა, ერთი დიდი სალი კლდის შუა მკერდზე მოსული. ჩემ გვერდით სხვა მცენარე ვერა ხარობს. განგებას მხოლოდ ჩემთვის დაუნერია: ქუჩო! კლდე იყოს შენი დედ-მამა, შენი ბედი და იღბალი, შენი წარსული და მომავალი!

- კლდეო! განა რომ შენა ხარ ჩემი დედ-მამა, ჩემი მცველი და პატრონი?
- მე ვარ, ნუ გეშინია, შავ-ბნელო.

გარშემო მარტყია მაგრად დაჭედილი ლოდები. ვინ იცის, სადამდე აქვთ გადგმული ძირი; ზოგი ამათგანი ყურსაც არ მიგდებს, თითქოს არც კი ვარსებობდე; ისინი თვალდაშტერებით დასცქერიან უფსკრულს. რას ეძებენ, რა დაუკარგავთ იქ? მე არ მეტყვიან, ათასჯერაც რომ ვკითხო. რაღაცას ფიქრობენ, უსაზღვროა იმათი ფიქრი, გამოუცნობელია იმათი გულის წადილი*. ხანდახან კლდე ოხრავს, ალბათ, დარდი რამ ანუხებს. სხვაფრივ შეუდრეკელი და გულმაგარია ჩემი დედა; იმას როდი აშინებს ზვაგი, რომელიც ზამთრობით ჭექა-ქუხილით თავზე დაგვეცემა ხოლმე, მოვა და გრი-ალით ჩავარდება უფსკრულში, დაეცემა და, თითქოს დაისვენაო, მძიმედ ამოიოხრებს. კლდე ხანდახან კიდევ ტირის. მეც ვტირი მაშინ, დედის ცრემლებსა ვხედავ და იმიტომ. დედაჩემი თავის დახოცილ შვილებსა ტირის, რომლებიც მუდამ თვალწინ უწყვია; ბევრიც რომ უნდოდეს, თვალს ვერსაიდან მოაცილებს. კლდის შვილები ლოდებია, დაბლა რომ ყრია ერთმანეთზე, კლდის მონაწყვეტი, იმის მკერდის ანაგლეჯი...

აგერ, დაბლიდან როგორ გულსაკლავად შემოსცქერიან თავის მშობლებს, თითქოს ეხვეწებიან, რატომ მანდ არ აგვიყვან, რატომ შენ ახლოს არა ვართო. ამაო იქნებოდა იმათი თხოვნა, იმათი ვედრება, კიდევ რომ შეეძლოთ ამის ნატვრა; მაგრამ არ შეუძლიათ. მეც იმათ დავცქერი თავზე და თითო-ოროლა წვეთობით ნამს ვასხურებ. იმათთვის ეს მეტისმეტად სასიამოვნოა.

ნეტა ერთი მეგობარი მომცა, ხანდახან მაინც გამოვესაუბრებოდი. ღმერთმა ყვავილებს უშველოთ, გაღმა მთის ფერდიდან რომ გამომცქერიან, ტკბილად დუდუნებენ, ტკბილად მღერიან ნაზი, დაბალი ხმით. ისინიც, როგორც მე ბედკრული*, შესტრფიან პირიმზეს. ლამაზო პირიმზევ, როგორ შორსა ხარ ჩემგან, მაგრამ მაინც როგორ მიკოდავ გულსა*!

მე როგორ შევტრფი, თვალგულდამშეული შევცქერი, თვალს ვერ ვარიდებ ერთ ნუთას, ისე მიყვარს, და ის კი ერთხელაც არ გადმომხედავს, რომ ჩემი მოკლული, დამწვარი გული გაცოცხლდეს; ის მზეს შესცქერის,

შენიშვნა: * – ასეთი ნიშნით გამოყოფილი სიტყვების განმარტება მოიძიე წიგნის ბოლოს დართულ ლექსიკონში



იმას ეტრფის. პირიმზე მზის მოტრფიალეა*. აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე თვალს და პირს იმას აყოლებს; როცა მზე ჩავა, დაიქვითინებს, ინყენს სატრფოს განშორებას. პირიმზეს ტირილი მეც ამატირებს. გუშინ, ვგონებ, მეც გადმომხედა. არა, ის წმინდაა, უცოდველი, მე კი უშნო და ცოდვილი. მე განა სისხლითა და ბურტყლით უნდა ვიყო შემურული?! ეს სულ იმ ბებერი არწივის ბრალია, ჩემ გვერდით რომ ბუდობს. გაიღვიძებს თუ არა დილით, მოჰყვება საზარელ ყეფას, ვილაცას ემუქრება, აბრიალებს იმ დიდრონ, სისხლის მოყვარულ თვალებს და მერე გასწევს სადავლოდ*; ყველა ფრინველნი გზას უთმობენ. მოიტანს ნანადირევს, დაჯდება ჩემ ზემოდან ერთ ამოჩემებულ ლოდზე, სწინკნის, სისხლი ჩამოსდის და მე დამდის. საიდან მოვერიდები? სისხლით წითლად ვილესები. მერე მზე დამხედავს და ახმობს ჩემს ტანზე ამ სისხლსა. იკურთხოს წვიმის გამჩენი! ხანდახან ის გამბანს ხოლმე. უთუოდ ამ სისხლის გამო მარიდებს პირიმზე თვალსა, თორემ ერთხელაც იქნებოდა, დამიძახებდა: ქუჩო! კლდის შვილო, გამარჯობა შენო!

II

მიყვარს ეს ყვავილი... იმას კაცები პირიმზეს ეძახით, რადგან პირი და თვალეები მუდამ მზისკენ აქვს მიპყრობილი. მზის მოტრფიალეა; როგორც შვილის თვალეები თან დასდევს დედას და ცდილობს არსად დაემალოს დედა, ისე ამისი. მზე დედაა, პირიმზე შვილია მზისა.

ვინ იცის, თუ მე პირიმზე მიყვარს? მაინც რაა ასეთი სიყვარული? მე იმასთან ვერ მივალ, ის ჩემთან, ერთმანეთს ვერ ვაკოცებთ. ასეთი სიყვარული სასიამოვნო ტანჯვაა. მოუთმენლად ველი განთიადს. მაშინ დავინახავ ხოლმე ჩემს სატრფოს. როცა ზამთარი დადგება, ჩემი გულიც მაშინ ჩაშავდება და პირიმზეც მიწაში ჩადნება. ნეტავი მეც ჩავდნებოდე, რომ ეგებ ერთი ჩემი ნაწილი შეხვდებოდეს იმისას პირისპირ. დადგება გაზაფხული, პირიმზე ცოცხლდება და მეც მაშინ ვცოცხლდები. მავინყდება ჩემს ქედზე მოკიდებული ხავსი და ობი, თავი პირიმზე მგონია და გიჟივით ვამბობ: შენი ჭირიმე, ლამაზო, შენი!

ნეტავ ვიცოდე, სად მიდიან ზამთრობით ყვავილნი? ვგონებ, ამას სიკვდილი ჰქვია. ვინ მასწავლა მე სიტყვა „სიკვდილი“? აი, ამ ლოდმა, ჩემ გვერდზე რომ ცხვირი ნამოუშვერია და მრისხანედ დასჩერებია ქვეყანას. ამან და იმ ორასი წლის ბებერმა არწივმა. არა, სიკვდილი კარგი არ უნდა იყოს. გუშინ რომ მაგ დაუსვენარმა ბებერმა ერთი როჭო შეყლაპა ჩემს თავზე, რამდენს

კვენსოდა საბრალო და ის კი შეუბრალებლად სწინკნიდა, გლეჯდა თავისი ალმასის ნისკარტით.

– ქუჩო, ბენტერავ, მაგასა ჰქვია სიკვდილიო! – წამომჩურჩულა ლოდმა.

მე როჭოს სიბრაღულით ვსტიროდი. თუ მართლა ესაა სიკვდილი, კარგი არ უნდა იყოს...

ერთხელ საზარელი სანახავი ვნახე. ისიც სიკვდილსა ჰგავდა. აგერ, დაბლა, შორს რომ დიდი მინდორი მოჩანს, იმ მინდორზე მოხდა ეს ამბავი. ორპირად, ორი მხრითგან გამოჩნდა ხალხთა გროვა. ყველანი ლამაზები იყვნენ, ლამაზად ჩაცმულ-დახურულები; ცხენებზე ისხდნენ ტურფად*, მოხდენით და ერთმანეთისკენ მიდიოდნენ სისწრაფით. სიშორის გამო არ მესმოდა, რას ამბობდნენ. დაერივნენ ერთმანეთს. იარაღის ბრჭყვი-აღს თვალს ვერ ვუსწორებდი, მწვავდა. ერთმანეთს ცხენებიდან ყრიდნენ, ქელავდნენ*, მახვილსა სცემდნენ.

ბოლო დროს, თითქოს ჯანლი* დაეხვიათ, დაიმაღლნენ ყველანი. ჯანლი რომ გადიკრიფა, საღამოხანიც მოახლოვდა. ვნახე, რომ მხედარნი თავის ცხენებითურთ ეყარნენ მინდორზე უსულოდ, როგორც, აი, ეს ლოდები. ეს სურათი ჩემთვის სატირელი სურათი იყო და ვიტირე კიდეც. სილამაზე, მშვენება დაჰკარგოდათ. ეს მენყინა და ამან ამატირა.

მზეო, დამხედე! წვიმავ, დამნამე! კლდეო მაღალო, შეინახე ჩემი ფესვები, სიცოცხლეს ნუ დაუკარგავ, ნუ ამომთხრი, ნუ ამომაგდებ!

პირიმზევ, ტურფავ, ლამაზო! შენი სილამაზის მზეს, ათასში ერთხელ მაინც გადმომხედე, მაღირსე შენი ღიმილი! სანყალი, ბეჩავი ქუჩი ვარ, შემებრაღე! ნიაფო მთისავ, ბუნების მაცოცხლებელო სულო! დამბერე, გააგრილე ჩემი მხურვალე გული!

არწივო, მედიდურო ფრინველო! თუ გწამს ღმერთი, ეცადე, რომ ჩემს თვალებს არ აჩვენო, როცა უცოდველთა სისხლს აქცევ; ჩემს ყურებს ნუ გააგონებ იმათ კვენსას, რადგან იმათი კვენსა ჩემი კვენსაა, ჩემი გულის ოხვრა და ვაება. დამბადებელო, დამიფარე, შემინახე უნაყოფო კლდეზე დაკიდებული ქუჩი!..

ვაჟა-ფშაველა

ტექსტის შინაარსი

1. სად იზრდება ქუჩი? აღწერე მისი მშობლიური გარემო.
2. „ვინ“ მიაჩნია მშობლად ქუჩს? რა დარდი აწუხებს მის გულმაგარ დედას?
3. რა განცდებს აღუძრავს ქუჩს ბებერი მეზობელი არწივი?
4. რომელ ყვავილს შესტრფის ქუჩი? რატომ უნოდა მან ამ გრძნობას „სასიამოვნო ტანჯვა“?
5. რატომ ეძახიან ადამიანები პირიმზეს ამ სახელს?
6. ქუჩის აზრით, რატომ არ აქცევს მას ყურადღებას პირიმზე?

იმსჯელე

7. როგორ დაახასიათებ მწერლის მიერ გასულიერებულ ქუჩს? პირიმზეს? რა განსხვავებას ხედავ მათ გარეგნობასა და „თვისებებს“ შორის?

- 8. რატომ ნატრობს ქუჩი მეგობრებთან საუბარს? იმსჯელე, როგორ ესმის ქუჩს მეგობრობა.
- 9. რა როლს ასრულებს ამ მოთხრობაში ადამიანი?
- 10. რა შთაბეჭდილება მოახდინა შენზე ვაჟა-ფშაველას ამ მოთხრობამ?

მოძებნე ტექსტში

- 11. ამოკრიბე ეპითეტები, რომლებითაც ვაჟა-ფშაველა ამკობს: მთებს, არწივს, პირიმზეს.
- 12. იპოვე ტექსტში სიტყვები: **ბედკრული, ჯანლი, მოტრფიალე**; განმარტე სახელმძღვანელოს ლექსიკონის დახმარებით.
შეადგინე წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით.
- 13. მოძებნე ტექსტში ადგილი, რომელიც მიგვანიშნებს, რომ ქუჩი მარადმწვანე მცენარეა.
- 14. იპოვე ტექსტში მონაკვეთი და აღწერე ამბავი, რომელმაც შეზარა ქუჩი. რა „საზარელი სანახავი“ უნახავს მას?

დანერე

- 15. დანერე მესამე პირში, ვის რას შესთხოვს ქუჩი (სათაური „ქუჩის ვედრება“).

გაიხსენე

- 16. გაიხსენე მე-5 კლასში შესწავლილი „ია“ და შეადარე ვაჟა-ფშაველას მოთხრობას „ქუჩი“.
შენ მიერ შენიშნული მსგავსება გაუზიარე თანაკლასელებს.

ლექსიკა

- 17. გაიხსენე შინაარსით ახლოს მდგომი სიტყვები:
ა) მედიდური, ... ბ) კვნესა, ...
- 18. განმარტე, რას გულისხმობს მწერალი ამ გამოთქმებში:
ა) აღმასის ნისკარტი; ბ) ჩემი გულიც მაშინ ჩაშავდება.

ენა

- 19. აღადგინე გამოტოვებული სასვენი ნიშნები და განმარტე, სად და რატომ არის აუცილებელი მათი დასმა:
ა) მზეო დამხედე! წვიმავ დამნამე!
ბ) კლდეო მაღალო შეინახე ჩემი ფესვები, სიცოცხლეს ნუ დაუკარგავ ნუ ამომთხრი ნუ ამომავდებ!
- 20. განმარტე, რაა საერთო ამ სიტყვებს შორის:
ბედკრული, უბედური.
- 21. იპოვე და გაასწორე შეცდომა:
ა) მე კაკაბის სიბრალულით ავტირდი.
ბ) მინდორის პირას ადამიანები დავინახე.



- ვაჟა-ფშაველასთან ბალახისა და ყვავილის მრავალნაირ სახეობას შეხვდებით:



ქუჩი კლდის ბალახია



ზამბახი აღმოსავლეთ საქართველოში იზრდება; ქართული ზამბახი მეტწილად თეთრია (იშვიათად – ცისფერი ან იისფერი), მისი ფურცლები მხოლოდ ოთხი დღეა გაშლილი.

პირიმზე, ვაჟა-ფშაველას თქმით, მზის მოტრფიალე ყვავილია.

ია ლურჯი ფერის სურნელოვანი ყვავილია, იზრდება ტყეშიც და მთაშიც.

დავალება

ფოტოსა და მოცემული ინფორმაციის მიხედვით აღწერე პირიმზე.

- მწერლები ხშირად მიმართავენ გაპიროვნებას – გასულიერების ხერხს. ვაჟა-ფშაველას სამყაროში მთანი ქვითინებენ ან „ფიქრს მისცემიან მწარესა“, კლდენი „პირს იბანენ წყალზედა“, მცენარენი მხიარულნი ან მწუხარენი არიან, ნუკრი შიშისაგან თრთის, ნისლი მთის ფიქრია...

დავალება

- ყურადღებით წაიკითხე „ქუჩი“ და მოძებნე ის მონაკვეთები, რომლებშიც კლდე, ლოდები, პირიმზე, ყვავილები გასულიერებულია.
- ამონერე მხოლოდ ის ფრაზები, რომლებიც მეტად მოგეწონა და, შენი აზრით, გასულიერების საუკეთესო ნიმუშია.
- ჩამოთვლილთაგან ამოირჩიე რომელიმე ყვავილი ან ბალახი, გამოიყენე გასულიერების ხერხი და დაწერე ჩანახატი.

მწერლები და პოეტები თავიანთ ნაწარმოებებში სათქმელის უფრო ნათლად გამოსახატავად სხვადასხვა მხატვრულ ხერხს იყენებენ.

ეპითეტი

ნაიკითხე წინადადებები:

ა. „რა ლამაზები ხართ მაშინ! როგორ გიხდებათ, რომ ის თქვენი აღზრდილი შვილი ისე **მამაცი, შეუპოვარი და ლამაზია**“.

ბ. „ის კი ერთხელაც არ გადმომხედავს, რომ ჩემი **მოკლული, დამწვარი** გული გაცოცხლდეს“.

გაფერადებული სიტყვები ეპითეტებია. **ეპითეტი** საგანს ან მოვლენას განსაზღვრავს, ახასიათებს.

ენაში არსებობს მუდმივი (მყარი) ეპითეტები. მაგალითად: **წუნკი** მელა, **ავი** დედინაცვალი, **ტრიალი** მინდორი...

შედარება

შთაბეჭდილების გასაძლიერებლად, შეიძლება, მწერალმა **შედარების ხერხი** გამოიყენოს – ერთმანეთს შეადაროს საგნები ან მოვლენები.

ვაჟა-ფშაველა წერს:

ა. „...მაშინ ვამბობთ: ახ, რა **მძიმე ლოდივით ნაღველი** მანვეს გულზეო“.

ბ. „მეხი ეთამაშება იმათ თვალებს და ხშირადაც ერჭობა **ისარივით** გულ-მკერდში“.

- იმსჯელეთ, მართლაც ამძაფრებს თუ არა სათქმელს „შედარება“:

ნაღველი – მძიმე ლოდივით ნაღველი

გულზე ხვდება – გულში ისარივით ერჭობა

გაპიროვნება

ცხადია, შენიშნე, რომ სახელმძღვანელოს ამ თავში შესწავლილ მოთხრობებში უსულო საგნებს, მცენარეებსა და ცხოველებს ადამიანის თვისებები მიენერება: ისინი ადამიანებზე გრძნობენ, საუბრობენ ან ფიქრობენ და ამით მკითხველში თანაგრძნობას იწვევენ. ამ მხატვრულ ხერხს **გაპიროვნება** ჰქვია:

ვაჟა-ფშაველა წერს:

„ხანდახან **კლდე** **ოხრავს**, ალბათ, **დარდი** **რამ აწუხებს**“...

1. მოთხრობიდან „ქუჩი“ ამოიწერე ეპითეტის, შედარებისა და გაპიროვნების ორი ნიმუში.
2. გაიხსენე და ჩამოწერე ე.წ. მუდმივი ეპითეტების ნიმუშები.

იდომები

ნაიკითხე ქვემოთ მოცემული წინადადებები და ყურადღება გაამახვილე განითლებულ ნაწილებზე:

ა. ხელმწიფეს **კოვზი ნაცარში ჩაუვარდა**, მისმა გეგმამ არ გაამართლა.

ბ. ნაცარქექიამ დევს სულ **კუდით ქვა ასროლინა**.

შეიძლება თუ არა კუდით ქვის სროლა? ან მეფეს მართლა ნაცარში ჩაუვარდა კოვზი?

არც პირველ და არც მეორე შემთხვევაში ნათქვამი პირდაპირ არ უნდა გავიგოთ:

„კოვზი ნაცარში ჩაუვარდა“ და „კუდით ქვა ასროლინა“ **იდომებია**. იდომში შემავალ სიტყვებს დაკარგული აქვს პირდაპირი მნიშვნელობა და მთლიანად გამოთქმა ერთ აზრს გამოხატავს:

„კოვზი ნაცარში ჩაუვარდა“ – მოტყუვდა, დამარცხდა, არაფერი გამოუვიდა...

„კუდით ქვა ასროლინა“ – სასტიკად დაამარცხა, შავი დღე აყარა...

● შეეცადე, განმარტო ქვემოთ მოცემული იდომები, რომლებიც ამოკრებილია ვაჟა-ფშაველას მოთხრობიდან:

ა. „ლამაზო პირიმზევ, როგორ შორსა ხარ ჩემგან, მაგრამ მაინც როგორ **მიკოდავ გულსა!**“

ბ. „იმას როდი აშინებს ზვაგი, რომელიც ზამთრობით ჭექა-ქუხილით **თავზე დაგვეცემა** ხოლმე...“

ერთი და იმავე სიტყვების შეკავშირება ერთ შემთხვევაში შეიძლება იყოს იდომი, მეორე შემთხვევაში – არა. მაგალითად: „კოვზი ნაცარში ჩაუვარდა“ იდომია, როცა ნიშნავს: მოტყუვდა, დამარცხდა...

იგივე გამონათქვამი არ არის იდომი, თუ მასში შემავალი სიტყვები თავიანთი ძირითადი მნიშვნელობით არის ნახმარი – კოვზი მართლაც შეიძლება ჩაგვივარდეს ნაცარში.

წინადად გამოცემულია ალექსანდრე ონიანის მიერ შედგენილი **ქართული იდომების ლექსიკონი**, რომელშიც ანბანის რიგზე დალაგებულ იდომებს მიწერილი აქვს განმარტებები. მაგალითად:

ანგარიშის გასწორება – სამაგიეროს გადახდა, მიზღვა, შურისძიება. მოსისხლე მტერი კარზე მოგვადგა და ჩვენ კი ბატონებს უნდა გავუსწოროთ ანგარიში? არ გვინდა! დრო არ არის! (მიხეილ ჯავახიშვილი)

აბუჩად აგდება – არაფრად ჩაგდება, ანგარიშის გაუნწელობა, დამცირება (აბუჩი – უხამსი სტუმარი – სულხან-საბა ორბელიანი). თინათინს გულში ეწყინა ეს რჩევა: როგორ, ჩემი შვილობილის საცოლო სხვამ უნდა გამოარჩიოს და მე აბუჩად ამიგდონო... (ეგნატე ნინოშვილი)

ამონერე ამ გაკვეთილში მოცემული იდომებიდან ნებისმიერი ორი და თითოეულზე შეადგინე წინადადება ან მოკლე ამბავი.



ნეკერჩხლის წითელი ფოთოლი

(მოთხრობა)

ბებერი მუხა აღერლილი* იყო. უკანასკნელი ფოთლები, რა ხანია, რცხი-ლებსაც დასცვივდათ, წიფლებსაც, თამელებსაც. თვით ისიც, დაკორძილი, ათას ჭირ-ვარამში გამოვლილი მუხაც, შავად იყო აღანძული*, მისი სქელი, გალაქულივით პრიალა ფოთლები ძირს იყვნენ დაფენილნი და ხანდახან თუ შეთრთოლდებოდნენ ნიავის ნამობერვაზე. კბოდეზე* გადმოზნექილი ნეკერჩხლის ერთი დიდი ფოთოლი კი მხოლოდ ოდნავ მოლუნულიყო და წითლად ლუდლუდებდა* ტყის ბინდ ჰაერში. მუხამაც, ხევში მიმავალმა მომწვანო წყალმაც, მსუქანმა მაჩვიმაც და დიდთავა ბუმაც იცოდნენ, რომ ნეკერჩხლის ფოთოლი ვიღაცას თუ რაღაცას ელოდა.

– ვის ელი, შე საბრალოვ! – შელიკლიკებდა ქვემოდან წყალი, – ჩამოდი ჩემთან. თუ შენთანებზე ნაწყენი ხარ, ქვემოთ ნაგიყვან, ულამაზეს ადგილებს გაჩვენებ და, საცა მოგეწონოს, იქ დარჩი.

მაგრამ ფოთოლი ხმას არ სცემდა წყალს.

გამოვიდოდა ყოველდღილა მსუქანი მაჩვი, ღრმად ჩაისუნთქავდა სუსხიან ჰაერს, დაინახავდა ნეკერჩხლის წითლად მოლუდლუდე ფოთოლს, ზიზლით შეიჭმუნებდა ქონიან დინგს და აბუზლუნდებოდა თავისთვის:

– ნეტავ ვის ელის ეს ტუტუცი, არ ურჩევნია თავისიანების გვერდით იყოს?!

მუხას კი ის აბრაზებდა, ჯანსუსტი, ყოველგვარ ხმაურზე მოცახცახე ფოთოლი როგორ იჩენდა მისთვის გაუგებარ სიმტკიცეს.

მოდიოდა წვიმა, უბერავდა ქარი, ეხლებოდნენ ტოტები ტოტებს; რამდენჯერმე ჭირხლმა* ძვალრბილიანად გათანგა* ყველაფერი, ნეკერჩხლის წითელი ფოთოლი კი ისევ მოლოდინით იყო სავსე და მხოლოდ ოდნავ შესამჩნევად ელუნებოდა მხრები.

ერთ დღეს ცა ზამთრისპირულად მოქურუშდა. დაუბერა ცივმა, ნოტიო ნიავმა. მთელ დღეს იქროლა. მერე ნიავი ჩადგა და წვიმა წამოვიდა. ინვიმა შუალამემდე, შუალამის შემდეგ კი წვიმა თოვლმა შეცვალა. როცა გათენდა, ტყე თითქოს ფიქრიან ბურუსს წაელო სადღაც შორს. ხეების წვიმით გაშავე-